სამედიცინო გაზეთი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის გამოცემა
გამოდის 1957 წლიდან
№ 6 (354) ივნისი, 2022 წელი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში Horizon Europe-ის საგრანტო ოფისი გაიხსნა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, მიხეილ ჩხენკელმა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ, თსსუ-ში Horizon Europe-ის საგრანტო ოფისი გახსნეს, რომელიც ევროკავშირის საგრანტო კონკურსებში საქართველოს სამეცნიერო სფეროს წარმომადგენელთა წარმატებულ მონაწილეობას შეუწყობს ხელს.

ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას, უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს თანადგომისთვის მადლობა პირადად გადაუხადა და აღნიშნა, რომ სწორედ მიხეილ ჩხენკელის მხარდაჭერით უნივერსიტეტში არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი ხორციელდება.

„თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ასწლოვანი ისტორიის მქონე სამედიცინო განათლების, ტრადიციის და, ამავდროულად, თანამედროვე, მაღალი სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო განათლების საუკეთესო სინთეზია.

აღსანიშნავია, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში პერმანენტულად მიმდინარეობს ინფრასტრუქტურის განვითარებასთან დაკავშირებული სამუშაოები და ის არ შეწყვეტილა პანდემიის პერიოდშიც.

ყველა აღნიშნული პროექტი განხორციელდა თქვენი აქტიური თანადგომით, რისთვისაც მადლობას მოგახსენებთ და იმედი გვაქვს თქვენი ქმედითი მხარდაჭერის მომავალ წამოწყებებში", - განაცხადა თსსუ-ის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ.

ამის შემდეგ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, მიხეილ ჩხენკელმა, საზოგადოებას სიტყვით მიმართა და Horizon Europe-ის პროგრამის კონკურსებში საქართველოს სამეცნიერო საზოგადოების ჩართულობის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

„ჩემთვის ძალიან სასიხარულოა, რომ Horizon Europe-ის ოფისი დღეს უკვე აქ, უდიდესი ტრადიციების მქონე სამედიცინო უნივერსიტეტში გავხსენით, რომელიც საქართველოში უმაღლესი სამედიცინო განათლებისა და მედიცინის მეცნიერებების განვითარების მთავარ კერას წარმოადგენს. სწორედ ამ უნივერსიტეტის წიაღში აღზრდილი ექიმების პროფესიონალიზმი და მუხლჩაუხრელი შრომა მსოფლიო პანდემიამ კიდევ უფრო თვალსაჩინო გახადა.

მსურს უდიდესი პატივისცემა და მადლიერება გამოვხატო მაღალპროფესიონალი სამედიცინო პერსონალის მიმართ, ისინი ჭეშმარიტად ჩვენი დროის გმირები არიან. სწორედ ჩვენი ექიმები აღმოჩნდნენ პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლის წინა ხაზზე. განსაკუთრებულად დასაფასებელია, რომ კორონავირუსის ეფექტიანად მართვას არა მხოლოდ ღვაწლმოსილი პროფესორები, არამედ მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამების მაღალკურსელი სტუდენტებიც შეუერთდნენ. დარწმუნებული ვარ, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი მომავალშიც არაერთ სახელოვან თაობას აღზრდის, რომლებიც თავდადების ისეთივე მაგალითს აჩვენებენ, რისი მომსწრენიც პანდემიის პერიოდში ჩვენ, ყველანი ერთად, გავხდით.

კიდევ ერთხელ გილოცავთ Horizon Europe-ის საგრანტო ოფისის გახსნას. დარწმუნებული ვარ, რომ ამ შესაძლებლობებს ძალიან ნაყოფიერად გამოიყენებთ. ყველას მთელი გულით გისურვებთ წარმატებებს!",- განაცხადა მინისტრმა.

ღონისძიების ფარგლებში, სიტყვით, ასევე, წარდგნენ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დირექტორი ჯაბა სამუშია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი სოფიო ბახტაძე და უნივერსიტეტის Horizon Europe-ის საგრანტო ოფისის კოორდინატორი თამარ გვასალია.



ბილოცავთ!

ძვირფასო კურსდამთავრებულებო!

ქართულს ერთი კარგი სიტყვა აქვს – თანადგომა. ნებისმიერ დროს, და მით უმეტეს, ცხოვრების გარდამტეხ ეტაპებზე, თანადგომას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანისთვის.

თქვენ ცხოვრების ახალ ეტაპზე გადადიხართ და მინდა გითხრათ, რომ თქვენი თანამდგომი და დასაყრდენი, თქვენთვის საიმედო და სასიქადულო თქვენი მშობლიური თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი იქნება. ეს ლიტონი სიტყვები არ არის – დროსა და სივრცეში გამოცდილი და ათასობით ექიმისთვის, სტომატოლოგისთვის, ფარმაცევტისთვის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სპეციალისტისთვის, რეაბილიტოლოგისთვის, ექთნისა და ბებიაქალისთვის საქმით გამოცდილი სიტყვებია.

ჩვენ ერთად გავატარეთ ექვსი, ზოგიერთმა – ხუთი ან ოთხი წელი, ერთად ვუმკლავდებოდით სირთულეებს. თქვენ ნაბიჯ-ნაბიჯ შედიოდით ძალიან საჭირო და ღირსეული პროფესიების ურთულეს წიაღში. ვიცი, იქნებოდა იმედიანი და ზოგჯერ ეჭვით დაღდასმული დღეებიც. თქვენ, ვინც დღეს კურსდამთავრებულთა ღონისძიებას ესწრებით, ეს ყველა სირთულე გადალახეთ და უკვე ჩვენი კოლეგები, დგახართ ჩვენ წინაშე!

აქ არაფერი მთავრდება! თქვენ ახლა იწყებთ პროფესიულ ცხოვრებას და ნებისმიერი სირთულის დროს, იცით ვის უნდა დაუსვათ შეკითხვა, ვინ მოგცემთ აკადემიურად გამართულ პასუხს, ვინ დაგაკვალიანებთ, ვინ დაგაკავშირებთ და შეგახვედრებთ გამოცდილ და წარმატებულ კოლეგებთან – ეს თქვენი უნივერსიტეტი იქნება, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, რომელსაც თქვენი ხანგრძლივი და საინტერესო ცხოვრების მანძილზე ყოველთვის დაასახელებთ როგორც თქვენს უნივერსიტეტს!

ჩემი უნივერსიტეტი! დიახ, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ჩემი უნივერსიტეტია, წლების წინ მეც აქ დავასრულე სწავლა და ამ უნივერსიტეტმა ჩემი მომავალი ცხოვრების სტილი, ხარისხი და შინაარსი განსაზღვრა.

მიხარია, რომ დღითიდღე იზრდება შესაძლებლობები და მეტი და მეტი თანადგომის გამოცხადება შეგვიძლია სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისთვის. მცირე ჩამონათვალიც კი საკმარისია, რომ თსსუ-ის წარმატების მასშტაბზე ვისაუბროთ:

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან მოქმედმა აკრედიტაციის საბჭომ, საერთაშორისო ექსპერტების დასკვნების საფუძველზე, სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის მიერ აღიარებული უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების, სამედიცინო პროგრამების დარგობრივი მახასიათებლების და პროცედურების მიხედვით, გასულ წელს, ყველა სტანდარტში უმაღლესი შეფასებით, საერთაშორისო აკრედიტაცია მიანიჭა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ოთხივე საგანმანათლებლო პროგრამას: დიპლომირებული მედიკოსის ქართულ, ინგლისურ, რუსულენოვან პროგრამებს და დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამას. თქვენ იცით, რომ სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) და უცხოეთში მედიცინის პროგრამების კურსდამთავრებულთა საგანმანათლებლო კომისიის (ECFMC- Educational Commission For Foreign Medical Graduates) ერთობლივი გადაწყვეტილებით, 2024 წლიდან, ევროატლანტიკურ სივრცეში აღიარებული იქნება დიპლომირებული მედიკოსის მხოლოდ ის პროგრამები, რომელთაც ექნებათ საერთაშორისო აკრედიტაცია.

ამრიგად, დღეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მედიცინის, სტომატოლოგიის, ფარმაციის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტებზე, რომლის კურსდამთავრებულებიც თქვენ ხართ, ხორციელდება მხოლოდ უმაღლესი შეფასების მქონე, აკრედიტებული ერთსაფეხურიანი, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები.

თქვენ ხართ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები, კურსდამთავრებულები საქართველოში პირველი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა, რომელმაც IAF და IAS-ის აკრედიტაციის მქონე ISO-ს 9001:2015 - ხარისხის მართვის შესაბამისობის სერტიფიკატი მიიღო. ეს დასტურია იმისა, რომ თსსუ-ის საქმიანობა სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნებს საგანმანათლებლო სივრცეში. ISO-ს 9001:2015 სერტიფიკატი, როგორც ავტორიტეტული საერთაშორისო სტანდარტი, გულისხმობს, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროცესი მსოფლიოში ფართოდ აღიარებული ხარისხის მენეჯმენტის სისტემის მეშვეობით მიმდინარეობს, რომელიც სრულად აკმაყოფილებს საერთაშორისო და საქართველოს საკანონმდებლო ნორმებს.

სულ ახლახანს თსსუ-ში Horizon Europe-ის საგრანტო ოფისი გაიხსნა, რომელიც ევროკავშირის საგრანტო კონკურსებში საქართველოს სამეცნიერო სფეროს წარმომადგენელთა წარმატებულ მონაწილეობას შეუწყობს ხელს.

თქვენი Alma Mater-ი – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ევროპული საგანმანათლებლო სივრცის სრულუფლებიანი წევრია, რაც ნიშნავს მის აქტიურ როლს ამ საგანმანათლებლო სისტემის ფუნქციობაში, განვითარების მიმართულებების განსაზღვრასა და მათ რეალიზებაში, თავისუფალი და მჭიდრო სამეცნიერო და სასწავლო კონტაქტების ჩამოყალიბებაში უცხოეთის სასწავლო, სამეცნიერო და კლინიკურ ცენტრებთან.

დიდი აღიარებაა, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში დაფუძნებულია სამედიცინო განათლების საერთაშორისო ასოციაციის (AMEE) წარმომადგენლობა – საქართველოში AMEE-ის საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრი, რაც არა მხოლოდ თსსუ-ის, არამედ ჩვენი ქვეყნის წარმატებაცაა: საქართველო სამედიცინო განათლების საერთაშორისო ცენტრი გახდა. ეს არაერთხელ იქნება თქვენი პროფესიონალიზმის მასაზრდოებელი, არა მარტო საქართველოს, არამედ საერთაშორისო მასშტაბითაც.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მძლავრი კლინიკური ბაზები (3 ჰოსპიტალი და 3 სტომატოლოგიური კლინიკა), სადაც თქვენ არაერთი კლინიკური დისციპლინა შეისწავლეთ, მუდმივად ფიქრობს კურსდამთავრებულებზე. ბევრი თქვენგანი უკვე მუშაობს კიდეც ამ და საქართველოს სხვა კლინიკებში. ჩვენ თვალს ვადევნებთ თქვენს წარმატებულ სვლას პროფესიურ სივრცეში და გვეიმედება, რომ ყოველი მომდევნო დღე კიდევ უფრო წარმატებული იქნება ჩვენი კურსდამთავრებულებისთვის.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ეროვნული და WFME (სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის) სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო განათლების ტრადიციულად გამორჩეული ცენტრია, როგორც საქართველოში, ისე – საერთაშორისო არენაზე; ამიტომ ჩვენი სტრატეგიული ამოცანაა სწავლის ხარისხის მუდმივი სრულყოფა და უნივერსიტეტის მაღალი რეპუტაციის შენარჩუნება. ყველა იმ წარმატებულ ნაბიჯთან ერთად, რომელზეც გესაუბრეთ, ჩვენი წარმატებულობის და მაღალი კვალიფიკაციის დასტური თითოეული თქვენგანი უნდა გახდეს. თქვენ და თქვენთან ერთად მსოფლიოს 80 ქვეყნის 2900-ზე მეტი ახალგაზრდა თსსუ-ის დესპანები იქნებით პროფესიონალურ სამყაროში.

ჩვენი დასაყრდენი ჩვენი კურსდამთავრებულები არიან. თქვენ არ გჭირდებათ იმისი ახსნა, თუ რამდენი კურსდამთავრებული აგრძელებს თსსუ-სთან თანამშრომლობას, სტუდენტებზე ზრუნვას, რამდენი სახელობითი სტიპენდია არსებობს მათგან დანიშნული. იმედი მაქვს, წინა თაობების ღირსეულ საქმეებს თქვენი ღირსეული საქმეებიც შეემატება და ჩვენ, ყველა ერთად, შევქმნით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ხვალინდელ დღეს – საამაყოს და სასურველს!

ბევრ დიდ გამარჯვებას გისურვებთ, კოლეგებო!

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი მუდამ თქვენ გვერდით იგულეთ!

პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია,
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის რექტორი

UNIWA (საბერძნეთი) ფიზიკური თერაპიის სკოლის ლექტორის ვიზიტი თსსუ-ში

3 ივნისს, Erasmus+-ის პროგრამის ფარგლებში, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტს ეწვია დასავლეთ ატიკის უნივერსიტეტის — University of West Attica, UNIWA (საბერძნეთი) ფიზიკური თერაპიის სკოლის ლექტორი, ფიზიკური თერაპევტი – კატერინა კომპოთი. შეხვედრები გაიმართა კენ ვოლკერის სახელობის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკაში. სტუმარმა დაათვალიერა კლინიკის პედიატრიული და ზრდასრულთა განყოფილებები, თსსუ-ის სპორტული მედიცინის და რეაბილიტაციის კლინიკური ცენტრი, გაეცნო აკადემიურ პროცესს და ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებს, კლინიკურ სწავლებას, სასწავლო პროცესში თანამედროვე სარეაბილიტაციო მიდგომებისა და ტექნოლოგიების გამოყენებას. შეხვედრაზე განიხილეს თსსუ-ის სარეაბილიტაციო მიმართულების დეპარტამენტების და UNIW-ს ფიზიკური თერაპიის სკოლის სამეცნიერო მუშაობის საკითხი; გამოითქვა ერთობლივი კვლევის დაგეგმვის სურვილი.

კატერინა კომპოთიმ ყურადღება გაამახვილა სრულიად გამორჩეულ სასწავლო და კლინიკურ გარემოზე, რომელშიც მიმდინარეობს თსსუ-ის ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის კლინიკური დეპარტამენტების აკადემიური პროცესი. თსსუ-სა და UNIW-ს შორის დაისახა ცოდნის გაცვლისა და ურთიერთთანამშრომლობის პერსპექტივები.

ადამიანის გენეტიკის ევროპის საზოგადოების კონფერენციაზე

11-14 ივნისს თსსუ-ის მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტის პროფესორმა, თინათინ ტყემალაძემ და ასოცირებულმა პროფესორმა, ეკა კვარაცხელიამ, მონაწილეობა მიიღეს ადამიანის გენეტიკის ევროპის საზოგადოების კონფერენციაში, რომელიც ვენაში გაიმართა. კონფერენციაზე მათ წარადგინეს პოსტერული მოხსენებები: „IGHMBP2-თან დაკავშირებული დაავადება გენოტიპ-ფენოტიპის კორელაციით“ (თ. ტყემალაძე), „უწყვეტი სამედიცინო განათლების პროგრამის შემუშავება ლაბორატორიულ გენეტიკაში საქართველოში“ (ე. კვარაცხელია).

ადამიანის გენეტიკის ევროპის საზოგადოების დაფინანსებით, კონფერენციაზე, როგორც ახალგაზრდა მეცნიერმა, თსსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის მერვე სემესტრელმა სტუდენტმა, სანდრო სურმავამ, წარადგინა პოსტერული მოხსენება – „ინტერლეიკინ-10 გენის პოლიმორფიზმი rs1800896 და IL-10-ის დონე კისტური ფიბროზის დროს“.

პროფესორმა თინათინ ტყემალაძემ დისმორფოლოგიის სექციაში წარადგინა იშვიათი კლინიკური შემთხვევა, რომელმაც საინტერესო დისკუსია გამოიწვია.

ასოცირებული პროფესორი ეკა კვარაცხელია, ტრადიციულად, დაესწრო ევროპის ადამიანის გენეტიკის საზოგადოებების შეხვედრას, სადაც წარადგინა სამედიცინო გენეტიკის და ეპიგენეტიკის საქართველოს საზოგადოების მიერ განხორციელებული აქტივობები.

მნიშვნელოვანი და სასიხარულოა, რომ ადამიანის გენეტიკის ევროპის საზოგადოების 55-ე კონფერენციაზე, სამეცნიერო მრჩეველთა საბჭომ, თსსუ-ის პროფესორი თინათინ ტყემალაძე საზოგადოების საბჭოს წევრად აირჩია.

აღსანიშნავია, რომ საზოგადოების ისტორიაში, პროფესორი თინათინ ტყემალაძე პირველი საბჭოს წევრია არა მხოლოდ საქართველოდან, არამედ პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან.

ადამიანის გენეტიკის ევროპის საზოგადოება (European Society of Human Genetics) წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მძლავრ ორგანიზაციას ადამიანის გენეტიკის დარგში, რომელიც 1967 წელს დაარსდა და 4000-ზე მეტი წევრისგან შედგება.

თსსუ-ის დელეგაციის ვიზიტი სტომატოლოგთა საერთაშორისო კოლეგიის 65-ე კონგრესზე

2022 წლის 8-13 ივნისს ოდონტოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი მარინა მამალაძე მიწვეული იყო ქ. პორტოში (პორტუგალია), სტომატოლოგთა საერთაშორისო კოლეგიის 65-ე კონგრესზე, სადაც, როგორც IDC-ის ევროპული სექციის მე-15 განყოფილების ვიცე-რეგენტმა, მონაწილეობა მიიღო რეგენტთა საბჭოს მუშაობაში (Summer BORM). ღონიძიებაზე პროფესორმა მარინა მამალაძემ საქართველოდან IDC-ის წევრობის ორი ახალი კანდიდატი წარადგინა: თსსუ-ის ორთოპედიული სტომატოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი დეა ვადაჭკორია და ოდონტოლოგიის დეპარტამენტის მოწვეული მასწავლებელი, სტომატოლოგიის კლინიკა და სასწავლო-კვლევითი ცენტრ „უნიდენტის“ ექიმი, სტომატოლოგიის აკადემიური დოქტორი, მანანა უსტიაშვილი.

პროფესორ მარინა მამალაძესთან ერთად კონგრესზე იმყოფებოდნენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ოდონტოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორები, IDC-ს წევრები: ნათია ნიჟარაძე და ლია სანოძე, ასევე, საქართველოს სტომატოლოგთა პროფესიული ასოციაციის წევრი, სტომატოლოგიის კლინიკა და სასწავლო-კვლევითი ცენტრ „უნიდენტის“ ექიმი თამარ ჟღენტი.

IDC კონგრესების ახალ წევრთა საზეიმო მიღების ცერემონიალი პორტოს ისტორიულ, უძველეს და უნიკალურ შენობაში – ალაციო და ოლსა-ში გაიმართა.

მომავალი კონგრესი 2023 წლის ივნისში ჰოლანდიაში, ამსტერდამშია დაგეგმილი, 2024 წელს კი, დელეგატებს ისრაელი, იერუსალიმი უმასპინძლებს.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან ერთად, „სტუდენტური ფესტივალი 2022“-ის გამარჯვებულია



თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მხარდაჭერით და საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ორგანიზებით, „თბილისის სტუდენტური ფესტივალი 2022“ გაიმართა, რომლის ფარგლებშიც, სპორტის 15 სახეობაში ტურნირები და კულტურული მიმართულების ტურები ჩატარდა. ფესტივალში მონაწილეობა საქართველოში მოქმედი 34 სახელმწიფო და კერძო უმაღლესი სასწავლებლის 50 000-ზე მეტმა სტუდენტმა მიიღო.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს სპორტის შემდეგ სახეობებში: ჭადრაკი, კარტინგი და ჯომარდობა.

ტრადიციულად, პირველობა არავის დაუთმო თსსუ-ის კულტურის ცენტრის სიმღერისა და ცეკვის სახალხო ანსამბლმა „ქართული ფოლკლორმა“, რომელმაც გამარჯვება ორ ნომინაციაში მოიპოვა: საუკეთესო ქართული ცეკვა და საუკეთესო ხალხური სიმღერა.

გარდა ამისა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები ფესტივალის ჟიურისა და ორგანიზატორების მიერ დასახელდნენ როგორც საუკეთესო გულშემატკივრები.

სტუდენტურ ფესტივალზე მოპოვებული პირველი ადგილების მიხედვით ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა და საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა და, ფესტივალის ჟიურის გადაწყვეტილებით, გამარჯვებულად სწორედ ეს ორი უმაღლესი სასწავლებელი დასახელდა.

შეხვედრა პროექტის ფარგლებში

24 ივნისს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ეწვივნენ საერთაშორისო ცენტრ „განათლება მშვიდობისათვის“ პრეზიდენტი გუგული მაღრაძე და ასოციაცია „კულტურათაშორისი ურთიერთობების საზოგადოების“ პრეზიდენტი, პროფესორი ინდირა ძაგანია.

სტუმრებს უმასპინძლეს: თბილისის სახელმწიფოო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ, ვიცე-რექტორმა, პროფესორმა ხათუნა თოდაძემ და ფსიქოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა რამაზ საყვარელიძემ.

შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს პროექტის – „საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტებისათვის ფსიქოლოგიური კონსულტაციის ცენტრების შექმნა“ – ფარგლებში თანამშრომლობის საკითხები.

პროექტის პარტნიორია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და იგი ერასმუს+-ის პროგრამის საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში ხორციელდება.

პროექტის მიზანია სტუდენტებისათვის სოციალური და ფსიქოლოგიური დახმარების გაწევა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ფსიქოლოგიური კონსულტაციების ცენტრების შექმნის გზით. იგეგმება შემდეგი აქტივობების განხორციელება: პარტნიორ უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტებისთვის ფსიქოლოგიური ცენტრების შექმნა; პერსონალის მომზადება და გადამზადება; რეკომენდაციებისა და საკანონმდებლო დოკუმენტაციის შემუშავება; ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ სტუდენტებისა და ფართო აუდიტორიის ცნობიერების ამაღლება; უნივერსიტეტების ფსიქოლოგიური კონსულტაციების ცენტრების ასოციაციის შექმნა.

თსსუ-ის წვლილი თამბაქოს კონტროლის გაძლიერებაში პრიზით აღინიშნა

31 მაისს, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის და თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის სამდივნოს გადაწყვეტილებით, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი თამბაქოს კონტროლის გაძლიერების მიმართულებით შეტანილი წვლილისთვის დაჯილდოვდა.

„მსოფლიო თამბაქოს გარეშე“, – ამ დღის აღსანიშნავი ღონისძიება „შერატონ გრანდ მეტეხი პალასში“ ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ორგანიზებით გაიმართა.

ღონისძიებაზე გამომსვლელებმა მიმოიხილეს საქართველოში თამბაქოს კონტროლის მიმართულებით მოპოვებული მიღწევები, სამომავლო გეგმები და გამოწვევები.

მადლობის სიგელი თსსუ-ის სტუდენტურ თვითმმართველობას

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა, სისხლის უსაფრთხოებისა და უანგარო, რეგულარული დონორობის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის, მადლობის სიგელით დააჯილდოვა.

ევროკავშირის დაძმობილების პროექტის – „სისხლის უსაფრთხოების სისტემის გაძლიერება საქართველოში“ და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ორგანიზებით, გაიმართა სისხლის უანგარო დონორის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება – „საქართველოში სისხლის უსაფრთხოების სისტემის გაძლიერება: ეფექტური და თანამიმდევრული კომუნიკაციისკენ“.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე თამარ გაბუნია, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის, ლიეტუვის რესპუბლიკისა და ნიდერლანდების სამეფოს საელჩოების წარმომადგენლები, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლები, სისხლის ბანკები, არასამთავრობო ორგანიზაციები, დარგის ექსპერტები, სისხლის უანგარო დონორები და მხარდამჭერი ორგანიზაციები.

ცხოვრების კრედო

მომავალი პროფესიის არჩევა ადამიანის ცხოვრების მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო ეტაპია. აბიტურიენტობის პერიოდში გადავწყვიტე ჩამებარებინა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში და შემესწავლა მედიცინა. საკუთარ თავს ხშირად ვეკითხებოდი, სწორი იყო თუ არა ჩემი არჩევანი. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ჩატარებულმა ღია კარის დღემ, ყოველგვარი ეჭვი გამიფანტა და არჩევანის სისწორეში დამარწმუნა.

დღეს, როგორც კურსდამთავრებულმა, შემიძლია თამამად ვთქვა, რომ საბედნიეროდ, ჩემი მოლოდინი გამართლდა, ექვსმა წელმა საინტერესოდ განვლო. სამედიცინო უნივერსიტეტი ის ადგილია, სადაც რწმუნდები საკუთარ შესაძლებლობებში, იღებ ცოდნას, გამოცდილებას, რომელზეც შენი მომავალი შენდება. მადლობელი ვარ, იმ პედაგოგების, რომლებიც საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას გვიზიარებდნენ.

პროფესიის სირთულიდან გამომდინარე, გასაკვირი არ არის, რომ აკადემიურად საკმაოდ დატვირთული ხარ, ამავდროულად, – მოტივირებული და ცდილობ შენი ენერგია იმ პროფესიას მიუძღვნა, რომელიც აირჩიე. თუმცა, მხოლოდ ენერგია და მოტივაცია არ არის წარმატების ფორმულა. თავდაუზოგავ შრომასთან ერთად გჭირდება სოციუმი და გარემო, რომელიც ამ პროცესს გაამარტივებს. თსსუ, მართლაც, განსაკუთრებულია, აქ შევიძინე მეგობრები, ერთად ბევრი დაბრკოლება გადავლახეთ, ჩვენი 25-ე ჯგუფი, ჩემთვის მეორე ოჯახად იქცა, სტუდენტობის წლები კი – დაუვიწყარ მოგონებად.

სულ მალე სტუდენტთა ახალი ნაკადი შეემატება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს. მინდა ვურჩიო მათ – დასახული მიზნის მისაღწევად, დაეუფლონ ცოდნას, ხშირად ჩაერთონ ექსტრაკურიკულურ აქტივობებში, რათა მრავალფეროვანი და საინტერესო გახადონ სტუდენტობის წლები.

ირწმუნეთ თქვენი შესაძლებლობები, ისწავლეთ, იშრომეთ, რადგან შრომა ყოველთვის ფასდება.

მარიამ ლომიძე,
მედიცინის ფაკულტეტის
კურსდამთავრებული

ვიქნები ექიმის ფიცის ერთგული

ექიმობაზე არასოდეს მიოცნებია, თუმცა, სკოლის დამამთავრებელ წელს, ჩემი ინტერესის სფერო, სწორედ, მედიცინას დაუკავშირდა. ახლობლების მრავალნაირი რჩევების მიუხედავად, რომელნიც ცდილობდნენ ჩემი გადაწყვეტილების შეცვლას, დიდხანს არ მიფიქრია და არჩევანი, რა თქმა უნდა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტზე შევაჩერე, სადაც მრავალი ნიჭიერი და სახელოვანი ექიმი აღიზარდა. სწავლის დაწყებისთანავე სტუდენტური ცხოვრება სავსე იყო ახალი ადამიანებით, პედაგოგებით, ახალი წიგნებით, ათასობით სიტყვით და ტერმინით, რომელიც აქამდე არასდროს გამეგო; შემხვედრი სიძნელეების მიუხედავად, არასდროს მინანია ჩემი გადაწყვეტილება. დღითიდღე უფრო მომწონდა სტუდენტური ცხოვრება, უნივერსიტეტი, საუკეთესო ჯგუფელები, რაც მთავარია, პროფესიის შესწავლისას უკეთ ვხედავდი ჩემს მომავალს – ადამიანთა ჯანმრთელობის სამსახურში მდგომთა შორის.

ცოდნის შეძენასთან ერთად, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა პიროვნებად ჩამომაყალიბა, მომამზადა ღირსეული საექიმო საქმიანობისთვის.

ამაყი ვარ, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული რომ მქვია. ექიმის ფიცი, რომელიც თსსუ-ის ეზოში შეკრებილმა ახალგაზრდებმა წარმოვთქვით, პროფესიის ერთგულებასთან ერთად, ჯანმრთელობის დაცვის მნიშვნელოვან და საპასუხისმგებლო საქმის მსახურებას გვავალებს ადამიანის სიყვარულის ნიშნით.

ვაჟა გადელია,
სტომატოლოგიის ფაკულტეტის
კურსდამთავრებული

პირველი ნაბიჯი წარმატებისკენ

ადამიანის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ეტაპია სტუდენტობა, როცა, სკოლის დამთავრების შემდეგ, პირველ ნაბიჯს დგამ პროფესიული განვითარების გზაზე; უმნიშვნელოვანესია, საიდან იწყებ, რომელ უნივერსიტეტს ირჩევ საბაზისო განათლების მისაღებად. მედიცინის სფერო ყოველთვის მიზიდავდა, რადგან ექიმის პროფესიის წყალობით, ადამიანებს არამარტო ფიზიკურად, მორალურადაც ეხმარები...

მე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ავირჩიე და, სწავლის პირველივე დღეებიდან, ნათელი გახდა მისი პრიორიტეტულობა საერთაშორისო ასპარეზზე. ლექტორები, პროფესორ-მასწავლებლები უდიდეს სტიმულს მაძლევდნენ მიმეღო სრულფასოვანი ცოდნა, რის საშუალებასაც უნივერსიტეტი ნამდვილად იძლევა: ბიბლიოთეკა, ლაბორატორიები, შეხვედრები...

უნივერსიტეტში გავიცანი უამრავი საინტერესო ადამიანი – ჩვენ ერთად ვმსჯელობდით არა მხოლოდ განათლების, არამედ სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე და ვეხმარებოდით ერთმანეთს ამ საკითხების გადაჭრაში. მათთან ერთად გატარებული დღეები ერთ-ერთ საუკეთესო და ლამაზ ეპიზოდად დარჩება ჩემს ცხოვრებაში.

სწავლის პერიოდი მარტივი ნამდვილად არ იყო – დაუღალავი შრომაა საჭირო იმისთვის, რომ სასურველ შედეგს მიაღწიო. მისასალმებელია წამახალისებელი გრანტები და სტიპენდიები, რაც უფრო მეტ სტიმულს აძლევს სტუდენტს. ჩემს შემთხვევაში ასეთი სტიმული გახლდათ „გეფას“ სტიპენდია და „ლუტეციის ფონდის“ დაფინანსება. საუკეთესო განცდაა, როდესაც შრომა გიფასდება და ეს არის პირველი ნაბიჯი წარმატებისკენ.

პირველსემესტრელებს მინდა ვურჩიო, რომ ფუჭად არ დაკარგონ სტუდენტური წლები, დაესწრონ ლექციებს, შეხვედრებს; ჩაერთონ ნებისმიერ აქტივობაში, მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა ღონისძიებაში, როგორიცაა საუნივერსიტეტო თამაშები, ექსკურსიები და ა. შ. მერწმუნეთ, ნაყოფიერად გატარებული დრო, სასიამოვნო შთაბეჭდილებებს დაგიტოვებთ და მომავალშიც დაგეხმარებათ. საბოლოოდ, მიზანს ყოველთვის მიაღწევ შრომისმოყვარეობით. არ უნდა დაკარგო არც ერთი წამი, იმისთვის, რომ პროფესიონალად ჩამოყალიბდე და წარმატებული იყო შენს პროფესიასა და ცხოვრებაში.

რევაზ მეგრელიძე,
ფარმაციის
ფაკულტეტის
კურსდამთავრებული

მიზნისკენ მიმავალი გზა

შეიძლება იფიქროთ, რომ ჩემი ისტორია, გარკვეულწილად, ბანალურია, თუმცა, ამავდროულად, ძალიან ძვირფასია ჩემთვის. ბავშვობაში, მეც ვუვლიდი თოჯინებს – ვუკეთებდი ნემსებს, ვასმევდი წამლებს, ერთი სიტყვით, „დიდი ექიმი“ ვიყავი.

სკოლის დასრულების შემდეგაც ექიმობისა და პაციენტებზე ზრუნვის სურვილი არსად გამქრალა. მჯერდა ჩემი შესაძლებლობების, როდესაც პირველ ნომრად თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ავირჩიე. საქართველოს მასშტაბით, ბიოლოგიაში მოპოვებული ერთ-ერთი უმაღლესი ქულით გამარჯვებულ აბიტურიენტთა 5%-ში მოვხვდი, იმ დღეს ალბათ ყველაზე ამაყი ვიყავი, ჩემი მშობლების გახარებული თვალები უფრო მიმძაფრებდა ამ სიამაყეს.

დადგა პირველი სემესტრი და ჩემთვის ყველაზე ძვირფასი პერიოდი – სტუდენტობაც დაიწყო. გავიცანი ჯგუფელები, კურსელები და მალე ერთ დიდ სამეგობროდ ვიქეცით, ყველამ ვიცოდით, სად უნდა გვეპოვა ჩვენი თავი და დავიწყეთ ერთად მიზნისკენ სწრაფვა.

ინტერესით ვაკვირდებოდი უფროსკურსელებს, მათგან ბევრის სწავლა შეიძლებოდა, ვმეგობრობდით, რაც ჩემთვის სტუდენტური წლების ერთ-ერთი დაუვიწყარი მოგონებაა. გავიარე რთული, მაგრამ საკმაოდ სასიამოვნო გზა. სასიამოვნო ალბათ იმიტომ, რომ შევისწავლე პროფესია, რომელიც ყველაზე მეტად მიყვარს. ვიყავი სტიპენდიატი; ჩემი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების გვერდში დგომით, სწავლით, დიდი მონდომებით არაერთ წარმატებას მივაღწიე.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანის, ასოცირებული პროფესორის ნანა ყიფიანის, დეკანის მოადგილის, პროფესორ სამსონ მღებრიშვილის, დახმარებისა და გვერდში დგომის გარეშე სწავლის პროცესში შემხვედრი სიძნელეები ადვილად მოგვარებადი ხდებოდა. ძალასა და ენერგიას არ იშურებდნენ სასწავლო დეპარტამენტების პედაგოგები ჩვენთვის ცოდნისა და გამოცდილების გადმოსაცემად. განსაკუთრებით, აღსანიშნავია, ოდონტოლოგიის დეპარტამენტი, პროფესორ მარინა მამალაძის, ხელმძღვანელობით, სადაც კურსდამამთავრებლებს საშუალება მოგვეცა ვყოფილიყავით ტუტორები და უმცროსსემესტრელებისთვის გაგვეზიარებინა ცოდნა, რამაც ძალა და თავდაჯერებულობა შეგვმატა.

პროფესიის აღსრულების დიდი და რთული გზა იწყება, რომელიც უწყვეტ სამედიცინო განვითარებას, სამედიცინო სიახლეების გაცნობას, სიბეჯითეს, შრომას მოითხოვს. მჯერა, მიღებული ცოდნით, პაციენტისთვის გაწეული მაღალკვალიფიციური სამედიცინო მომსახურებით, ღირსეულთა რიგებში ვიქნები, რადგანაც თითოეული კურსდამთავრებულის წარმატება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტიდან იწყება.

ელენე ცქრიალაძე,
სტომატოლოგიის ფაკულტეტის
კურსდამთავრებული

აქ ყველა პირობაა კარგ სპეციალისტად ჩამოყალიბებისთვის

სტუდენტური წლები, მართლაც, რომ მნიშვნელოვანი ეტაპია ადამიანის ცხოვრებაში. როდესაც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გადავწყვიტე ჩაბარება, დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობდი და გადაწყვეტილება მარტივად არ მიმიღია. არასდროს დამავიწყდება უნივერსიტეტში მოსვლის პირველი დღე, შეჩვევა ახალ გარემოსთან, სტუდენტურ ცხოვრებასთან, გამოწვევებთან, მაგრამ ნელ-ნელა ყველაფერი დალაგდა. შევიძინე ახალი მეგობრები, რომლებთანაც სასიამოვნო მოგონებები მაკავშირებს. სტუდენტებისგან დაკომპლექტებული ჯგუფი, უბრალო კრებითი სიტყვა როდია, იგი ერთ დიდ ოჯახს წარმოადგენს, დაკავშირებულს ერთმანეთთან უბედნიერესი წუთებით, მოგონებებით და ისტორიებით. სტუდენტობისას შეძენილი მეგობრები და ურთიერთობები მთელი ცხოვრების მანძილზე შეუცვლელი შენაძენია ადამიანისთვის.

ბავშვობიდან ყველა საქმეს პასუხისმგებლობით ვეკიდებოდი და შრომისმოყვარეობით გამოვირჩეოდი, სკოლა ოქროს მედალზე დავასრულე; თსსუ-ში სწავლის დაწყებისთანავე ვიცოდი, რომ კარგ ექიმად ჩამოყალიბება დიდ შრომასთან იყო დაკავშირებული. მახსოვს, არაერთი ლექცია და სემინარი (განსაკუთრებით, – ანატომიის, ფიზიოლოგიის და ფარმაკოლოგიის ლექციებს გამოვყოფ, სადაც მიღებული ემოციები დაუვიწყარია). ვესწრებოდი კონფერენციებს, გვიანამდე ვრჩებოდი ბიბლიოთეკაში; სწავლა, მართლაც, დიდ შრომასა და დროს მოითხოვს, ძალიან ბევრი გათენებული ღამეც მახსოვს, შრომაც დამიფასდა, – ექვსი წლის განმავლობაში ვიყავი პრეზიდენტის სტიპენდიატი.

როგორც ამბობენ, დრო სწრაფად გარბის, ხშირად ვეკითხები საკუთარ თავს, თუ რა მომცა უნივერსიტეტში სწავლის წლებმა. თსსუ მდიდარი ტრადიციების უმაღლესი სასწავლებელია, სადაც კარგი სპეციალისტის ჩამოყალიბებისთვის ყველა პირობაა შექმნილი, შევიძინე მყარი ცოდნა, მეგობრები, გავიცანი და შევხვდი ბევრ საინტერესო პედაგოგს.

მადლობა მინდა გადავუხადო თსსუ-ის აკადემიურ პერსონალს, ყველა იმ ადამიანს, ვინც ქმნის და ზრუნავს უნივერსიტეტის სასიკეთოდ.

მომავალ სტუდენტებს ვუსურვებ, ღირსეული პიროვნული თვისებებით, შრომისმოყვარეობით, მიზანდასახულობით მიეღწიოთ დასახული მიზნისთვის.

წარმატებას გისურვებთ!

გიორგი მენაბდიშვილი,
მედიცინის ფაკულტეტის
კურსდამთავრებული

გამოწვევებით აღსავსე წლები

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ჩაბარება რომ გადავწყვიტე, კარგად გაცნობიერებული არ მქონდა, თუ რაოდენ დიდი წვლილი მიუძღვის ექთანს პაციენტის მკურნალობის პროცესში. განვლილი ოთხი წელი იყო ძალიან საინტერესო და გამოწვევებით აღსავსე; გვყავდა არაჩვეულებრივი ლექტორები, რომლებიც ცდილობდნენ, საუკეთესო სპეციალისტებად ჩამოვყალიბებულიყავით, გვეხმარებოდნენ პროფესიული ინტერესის გაღვივებში. ამ ხნის მანძილზე დავეუფლე პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, რასაც ამჟამად სრულყოფილად ვიყენებ ჩემს პროფესიულ პრაქტიკაში. მივხვდი, რომ ექთანი სამედიცინო გუნდის სრულუფლებიანი წევრია.

თავდადება და საქმის სიყვარული გაძლევს სტიმულს, კარგად აკეთო შენი საქმე. თითოეული პაციენტის ღიმილიანი და მადლიერი გამომეტყველება ბედნიერს მხდის, სიამაყით ვივსები, როდესაც მათ გამოჯანმრთელებულს ვაცილებ სახლში. დღეს უკვე ვიცი თუ რა მნიშვნელოვანია, გახდე საქმის პროფესიონალი - იყო კარგი ექთანი. ვამაყობ, რომ შემიძლია დავეხმარო ადამიანებს.

მადლობა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს და ჩვენს პროფესორ-მასწავლებლებს გაწეული შრომისთვის.

ბედნიერი ვარ, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული მქვია.

მაია წულაძე,
ქართულ-ავსტრიული
საექთნო-საბაკალავრო
პროგრამის
კურსდამთავრებული

თსსუ-ის სტუდენტობა დიდი პასუხისმგებლობაა

ჯერ კიდევ ადრეული ასაკიდან მინდოდა მომავალი პროფესია სამედიცინო სფეროსთან დამეკავშირებინა, მოგვიანებით კი გადავწყვიტე, რომ აუცილებლად თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მესწავლა. თუ რატომ, პასუხი მარტივია: ეს არის მოწინავე, ტრადიციებით მდიდარი და სახელგანთქმული სამედიცინო სკოლა საქართველოში, რომელიც დღემდე არ კარგავს პირველობას და ზრდის მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს.

2018 წელს ჩემი ოცნება ახდა და ჩავირიცხე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტზე, სადაც მოხვედრა და შემდგომ სწავლის გაგრძელება მარტივი არ ყოფილა, თუმცა უნივერსიტეტში გატარებული ყოველი დღე, აქ მიღებული ცოდნა, გამოცდილება, ურთიერთობები სტუდენტებთან თუ ლექტორებთან, ყველა სირთულეს დაძლევადს ხდიდა და ჩემი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენების კიდევ უფრო დიდ სტიმულს მაძლევდა. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს პროფესორ-მასწავლებლებს, რომლებიც მუდმივად მზად იყვნენ დახმარებისთვის და უშურველად გვიზიარებდნენ ცოდნას თუ გამოცდილებას. მათ უდიდესი წვლილი მიუძღვით, რომ დღეს მე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული მქვია.

სწავლის პროცესში მოტივაციასა და სტიმულს მაძლევდა ის ფაქტიც, რომ დღითიდღე, უფრო და უფრო, ვრწმუნდებოდი ჩემი პროფესიის მნიშვნელობასა და საჭიროებაში, თვალსაჩინო გახდა საზოგადოებრივი ჯანდაცვის როლი ამ გლობალური მასშტაბის კატასტროფის წინააღმდეგ ბრძოლაში. დიახ, ჩვენ დავინახეთ, რომ საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიერ შემუშავებულ პრევენციულ ღონისძიებებს, პროცესის სწორ დაგეგმვასა და ორგანიზაციას გადამდებ დაავადებათა, განსაკუთრებით COVID-19-ის, გავრცელების აღკვეთაში ლომის წილი მიუძღვის.

როცა სამედიცინო უნივერსიტეტში გატარებულ 4 წელზე ვსაუბრობ, აუცილებლად უნდა ვახსენო სტუდენტური თვითმმართველობა – არაჩვეულებრივი სტუდენტებისგან დაკომპლექტებული გუნდი, რომელმაც როგორც მე, ისე ძალიან ბევრ ახალბედა სტუდენტს, გზა გაგვიკვალეს ჯერ კიდევ უცნობ გარემოში. სიამაყით მინდა აღვნიშნო, რომ მალევე თავად გავხდი ამ გუნდის წევრი საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის თავმჯდომარის სახით და პატივი მქონდა მონაწილეობა მიმეღო უნივერსიტეტში აქტიური სტუდენტური ცხოვრების ფორმირებაში.

მარიამ ომარაშვილი,
საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის კურსდამთავრებული

ოცნება რეალობად მექცა

2016 წლის აგვისტო დაუვიწყარია ჩემთვის, როდესაც მომავალი მედიცინას დავუკავშირე, სრული დაფინანსება მოვიპოვე და 100 %-იანი გრანტით, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტი გავხდი.

ცხოვრების ახალი ეტაპის დასაწყისმა ახალი გამოწვევების წინაშე დამაყენა. პირველადი სირთულეები, პედაგოგების ხელშეწყობით, მარტივად შესასრულებელი აღმოჩნდა.

გერქვას თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წარჩინებული სტუდენტი, პრეზიდენტის სახელობის სტიპენდიატი, ნიშნავს, გქონდეს უდიდესი პასუხისმგებლობა აკადემიური პერსონალის, სტუდენტების მიმართ. სწავლასთან ერთად, შენი წარმატება პედაგოგების თავდაუზოგავი შრომის შედეგია, რომლებიც მომავალი ექიმების პროფესიონალად ჩამოყალიბებისთვის იღვწიან; ჩემთვის დიდი პატივი, იყო ასეთ ღირსეულ პროფესიონალებთან სწავლა, დახელოვნება; ბედნიერი ვარ, რომ ჩემი სტუდენტობა დაკავშირებული იყო ასეთ ადამიანებთან, რომლებმაც თავდაჯერებულობა შემმატეს, შესაძლებლობის სრული გამოვლენის საშუალება მომცეს და ყოველთვის მზად იყვნენ დასახმარებლად. თუმცა, მადლიერება მხოლოდ სიტყვებით არ გამოიხატება, ჩემი ვალია, ღირსეულად გავაგრძელო დაწყებული საქმე და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა ადამიანების ხარისხიანი ჯანმრთელობის დაცვის მნიშვნელოვან საქმეს მოვახმარო.

თამარ ტუკვაძე,
მედიცინის ფაკულტეტის კურსდამთავრებული

თსსუ არის ურთიერთობა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ხსენებისას, პირველი, რაც გეუფლება, ეს სიამაყის გრძნობაა და ჩემმა — ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტმა - შესაძლებლობა მომცა, ვყოფილიყავი ამ დიდი და საამაყო ოჯახის ნაწილი.

უნივერსიტეტის ეზოში პირველად სწავლის დაწყების დღეს შევაბიჯე, სადაც უამრავი თეთრხალათიანი ირეოდა და პირველი, რაც გავიფიქრე, იყო ის, რომ მეც ამ დიდი ოჯახის ნაწილი ვიყავი. უნივერსიტეტმა მომცა უმაღლესი სამედიცინო განათლება, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით; თუმცა, სამედიცინო განათლების გარდა, მომეცა შესაძლებლობა, აღმომეჩინა და სულ სხვა კუთხით გამეცნო საკუთარი თავი და დავრწმუნებულიყავი იმაში, რომ ადამიანის შესაძლებლობებს საზღვარი არ აქვს.

ყოველი ახალი გამოწვევა ჩემთვის იყო მოტივაცია, გავმხდარიყავი უკეთესი. ალბათ, არასოდეს დამტოვებს ის გრძნობა, კლინიკაში პირველ ლექციაზე ყოფნისას რომ დამეუფლა; ეს ის შემთხვევაა, როდესაც საკუთარი თავით ძალიან ამაყობ და ხვდები, რომ აქ ყოფნა ნამდვილად დაიმსახურე. არასოდეს დამავიწყდება პირველი ფინალური გამოცდაც ძალიან რომ ვნერვიულობდი და ბოლოს, როგორი ბედნიერი და კმაყოფილი დავრჩი საკუთარი შედეგით.

სტუდენტობა საუკეთესო წლებია ადამიანის ცხოვრებაში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სასურველ უნივერსიტეტში სწავლობ და გვერდით ძალიან კარგი მეგობრები გყავს. აბიტურიენტობისას წარმოუდგენლად მეჩვენებოდა ლექტორთან მეგობრული ურთიერთობა; თუმცა, ეს არც ისე ყოფილა, როგორც მეგონა - გვყავდა გამორჩეული ლექტორები, რომლებთანაც განსაკუთრებული ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა, მათ შეგვაყვარეს თავიანთი საგანი და დღემდე ამ ურთიერთობების ერთგულნი ვართ. სტუდენტობა, ეს იყო გამოწვევებით, ბედნიერი მოგონებებით, საუკეთესო ადამიანებით, ახალი აღმოჩენებით სავსე წლები.

და კიდევ - გეტყვით, რომ სამედიცინო უნივერსიტეტი ნამდვილად ამართლებს ფრაზას - „თსსუ არის ურთიერთობა“.

ნანა ჯოხაძე,
ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის კურსდამთავრებული

წარმატების წინაპირობა

ჩვენი თვითპრეზენტაცია ყოველდღიურ ცხოვრებაში ძალიან ჰგავს თეატრალურ წარმოდგენას, – ეს შედარება ირვინგ გოფმანს ეკუთვნის. ის აღწერს მსახიობებს, მათ როლებს, პერფორმანსს, გამოყოფს სცენასა და კულისებს, სადაც თითოეული ინდივიდი იყოფა რადიკალურად განსხვავებულ ორ პიროვნებად. თუ კულისები ის ადგილია, სადაც უცხო მზერისაგან დაცული აქტიორები თავისუფლდებიან სცენარით გაწერილი მკაცრი შეზღუდვებისაგან და შეუძლიათ, იყვნენ ისეთები, როგორებიც სინამდვილეში არიან, სცენაზე პირიქით ხდება – ხალხის წინ მდგომი პიროვნება შეგნებულად აცნობიერებს შთაბეჭდილებას, რომელიც მას სურს, რომ მაყურებელზე მოახდინოს და ბოლომდე ისწრაფვის ამ მიზნის მისაღწევად. შესაძლოა, ცოტა დიდი შესავალი გამომივიდა, მაგრამ, 4 წლის წინ, როდესაც იმ არჩევანის წინაშე დავდექი, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ჩემი ცხოვრების გზა, კარიერა, რომლისთვისაც თავი უნდა მიმეძღვნა, ზუსტად მაშინ გადავწყვიტე, რომ ეს უკანასკნელი არ იქნებოდა მხოლოდ ერთი – არც მხოლოდ პირადი კომფორტის ზონა და არც დადგმული სცენარი, არამედ, – ერთსა და იმავე დროს, ნამდვილიც და სხვების წინაშე თამამად წარსადგენიც. დღეს კი ამაყად ვამბობ, რომ ამის განხორციელების შესაძლებლობა სწორედ საზოგადოებრივი ჯანდაცვამ ფაკულტეტმა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა მომცა!

ვერ ვიტყვი, რომ ეს პროცესი მარტივი იყო. ალბათ ყველა დამეთანხმება: როგორც კი უნივერსიტეტის ზღურბლს გადააბიჯებ, მაშინვე გეკისრება მთელი რიგი პასუხისმგებლობები, რაც გულისხმობს დაუღალავ შრომას, სწავლაში გათენებულ არაერთ ღამეს, ბევრ სურვილზე უარის თქმას...

არ მგონია, პიროვნული და პროფესიული განვითარების პროცესს ოდესმე დასასრული ჰქონდეს, რადგან ასევე უსასრულოა ჩვენი შესაძლებლობები, მაგრამ უნივერსიტეტი თანდათან, ყოველწლიურად, ყველა საჭირო კომპონენტის ჩართულობით, სრულად უზრუნველყოფს, შენს „მომარაგებას“' იმ აუცილებელი ცოდნით და რესურსით, რომელიც სამედიცინო სფეროში ყველაზე მეტად დაგჭირდება.

სამწუხაროდ, დრო იმაზე სწრაფად გავიდა, ვიდრე ველოდი – მიილია სტუდენტობის ოთხი წელი და ახლა, როცა უკვე იმ კარის ზღურბლთან მდგარი, საიდანაც პირველად შემოვედი, უკან ვიხედები, თვალწინ ეპიზოდებად გაირბენს ყველაფერი, რაც თსსუ-მა მაჩუქა: კარგი განათლება, ადამიანები, რომლებიც არა მარტო შენი საუკეთესო მეგობრები, არამედ ოჯახის წევრები გახდნენ და, რაც მთავარია, უდიდესი გამოცდილება: პანდემიის პერიოდში არაერთგან მომიწია მუშაობა, მათ შორის, ლუგარის ლაბორატორიაში; უნივერსიტეტში მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის ხარჯზე კი საკმაოდ მარტივად შევძელი ამ ცოდნის რეალიზება და ადაპტაცია ახალ გარემოსთან.

ჩემი გეგმები ისევ მჭიდროდ უკავშირდება სამედიცინო სფეროში საქმიანობას, ამიტომ, ვფიქრობ, ეს დამშვიდობებაც დროებითია. გულწრფელად მიხარია, რომ თსსუ-ის მომავალ თაობებს წინ ელით ის ბედნიერება და სიხარული, რაც ამ უნივერსიტეტის სტუდენტობას ახლავს. აქვე გეტყვით, რომ თუ მედიცინის სფერო გაინტერესებთ, თქვენ სწორ ადგილას იმყოფებით!.. გისურვებთ წარმატებებს!..

ანი ახვლედიანი,
საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის კურსდამთავრებული

მეამაყება, რომ თსსუ-ელი მქვია

ალბათ, სკოლაში ყოფნის პერიოდი, დროის ის მონაკვეთია, როცა ადამიანი ცხოვრების გზას ირჩევს, თუმცა ეს გაცილებით ადრე, საბავშო ბაღის პერიოდიდანვე, მქონდა განსაზღვრული. ყოველთვის ვამბობდი, რომ ექიმი უნდა გავმხდარიყავი!.. გადიოდა წლები; სკოლაში დავიწყე სამედიცინო მეცნიერებასთან ახლოს მდგომი საგნების შესწავლა, რამაც კიდევ ერთხელ დამარწმუნა ჩემი არჩევანის სისწორეში, იმაში, რომ ჩემს მომავალს აუცილებლად მედიცინას დავუკავშირებდი; მე ხომ თავს ყველაზე კარგად მაშინ ვგრძნობდი, როცა ადამიანებს ვეხმარებოდი, ამის ყველაზე მეტ შესაძლებლობას კი სწორედ სამედიცინო სფეროში საქმიანობა მომცემდა.

2018 წლის გაზაფხულზე, როცა ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩემი დარეგისტრირების დრო მოვიდა, ოჯახის წევრებს სრული სერიოზულობით განვუცხადე, რომ ვაბარებდი ან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, ან – არსად. მათ ჩემი გადაწყვეტილება დადებითად შეაფასეს; რამდენიმე თვეში, უკვე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი გავხდი. გულწრფელად რომ ვთქვა, მაშინ ამ ფაკულტეტზე სწავლა არ მინდოდა და მობილობით დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან პროგრამაზე გადასვლას ვგეგმავდი, თუმცა ერთ წელიწადში ჩემი შეხედულება შეიცვალა. დავინახე, რომ თუ ექიმობის შემთხვევაში მხოლოდ ერთ კონკრეტულ პაციენტზე ვიქნებოდი პასუხისმგებელი, ჯანდაცვის სპეციალისტის ამპლუაში სრულიად საზოგადოებაზე ვაგებდი პასუხს. სწორედ ამ აზარტმა გადამაწყვეტინა გამეგრძელებინა სწავლა ამ ფაკულტეტზე.

სამწუხაროდ, COVID-19-ით გამოწვეული პანდემია სრულფასოვან სტუდენტურ ცხოვრებაზეც უარყოფითად აისახა – გარკვეული პერიოდი იძულებულები გავხდით სწავლა დისტანციური ფორმატით ონლაინპლატფორმაზე გაგვეგრძელებინა, თუმცა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა და პროფესორ-მასწავლებლები არც ამ შემთხვევაში ზოგავდნენ თავს და მაქსიმალური ძალისხმევით ცდილობდნენ კვლავ საუკეთესო განათლების მიღების შესაძლებლობა გვქონოდა. მადლობელი ვარ თითოეული ლექტორის, ვისთანაც, თუნდაც ხანმოკლე დროით მქონდა შეხება, თითოეული მათგანის ძალისხმევის შედეგია, რომ არასდროს ვინანებ ჩემს გადაწყვეტილებას.

მინდა ხაზგასმით აღვნიშნო: ძალიან ამაყი ვარ, რომ თსსუ-ელი მქვია – იმ უნივერსიტეტის სტუდენტი, სადაც მრავალი გამოჩენილი ექიმი, სპეციალისტი და მეცნიერი სწავლობდა. მიხარია, რომ მეც ამ დიდი ოჯახის ნაწილი ვარ და აქვე ვდებ პირობას, რომ ყველგან და ყოველთვის დავიცავ ამ სახელს!

მინდა თანაკურსელებს მივულოცო ეს დიდი წარმატება – რამდენიმე თვეში ჩვენ უკვე გვერქმევა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები. მინდა თითოეულ კურსდამთავრებულს ვუსურვო მიზნების ასრულება, წარმატება და წინსვლა – „ტრადიციებით მომავლისკენ“.

ლაშა გოგოლაძე,
საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის კურსდამთავრებული

თსსუ-მა ღირსეული პროფესიული საქმიანობისთვის მოამზადა

ახალი ნაბიჯების გადადგმა, როგორც წესი, რთულია, მაგრამ ეტაპები, რომლებიც სამომავლო გამოწვევებს ეხება, ორმაგად საპასუხისმგებლოა. სწორი არჩევანის გაკეთებაში კი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი დამეხმარა.

უნივერსიტეტში სწავლების პერიოდი ცოდნის გაღრმავებაზე ორიენტირებული აქტივობებით გამოირჩეოდა, თეორიული ცოდნის მიღების პარალელურად, ვცდილობდი განმევითარებინა პრაქტიკულ უნარ-ჩვევები, რაშიც სწავლების კურაციული სისტემა ძალიან დამეხმარა.

მადლიერება მინდა გამოვხატო ყველა იმ ლექტორის მიმართ, რომელიც აქტიურად იყო ჩართული ჩვენს საგანმანათლებლო პროცესში და, ამ მხრივ, განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი ბატონ ზურაბ კახაბრიშვილს და ბატონ ვალერი ახალკაცს, ასევე, ქალბატონ მარინა მათიაშვილსა და ქალბატონ მაია ნემსაძეს.

ცოდნის გაღრმავებასთან ერთად, სტუდენტურ ცხოვრებას საინტერესოს ხდიდა უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილი გასვლითი ღონისძიებები, რაც ახალგაზრდობის გაცნობისა და დაახლოების ერთ-ერთი ფაქტორია; ჩემთვის, ასევე, უმნიშვნელოვანესი იყო კულტურის ცენტრთან არსებული სხვადასხვა სახელოვნებო ჯგუფის მიერ დაგეგმილ აქტივობებში მონაწილეობა და მზადების პროცესი.

რაც შეეხება ჩემს სამომავლო გეგმებს, ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გასაუმჯობესებლად, ვაპირებ სამაგისტრო საფეხურზე სწავლის გაგრძელებას. ბაკალავრის საფეხურზე მიღებულ ცოდნას კი, წარმატებით ვიყენებ კარიერულ საქმიანობაში - ამჟამად ვარ სარაგბო კლუბების - „ლოკომოტივისა“ და „ბორჯომის“ ექიმი რეაბილიტოლოგი, ასევე, საფეხბურთო გუნდ - „სამტრედიას“ ფიზიოთერაპევტი.

წარმატებები მინდა ვუსურვო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტს განვითარებასა და მომავალ საქმიანობაში.

ნოდარ აფციაური,
ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის კურსდამთავრებული

ცხოვრების მნიშვნელოვან ეტაპზე

არასოდეს დამავიწყდება დღე, როდესაც პირველად შევაბიჯე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში და დიდ სიხარულთან ერთად, ვიგრძენი უდიდესი პასუხისმგებლობაც და კიდევ უფრო ნათლად გავიაზრე, რომ იწყებოდა ცხოვრების სრულიად ახალი ეტაპი, – ახალ გარემოში და ახალ ადამიანებთან.

სამწუხაროდ, სტუდენტობის პერიოდში დაიწყო პანდემიის „ციებ-ცხელება“, ჩვენც მოგვიწია ონლაინრეჟიმში გაგვეგრძელებინა სწავლა, თუმცა სიამაყით მინდა აღვნიშნო, რომ მაინც შევძელით სრულყოფილად მიგვეღო განათლება და, თეორიულ ცოდნასთან ერთად, მოვახერხეთ აუცილებელი პრაქტიკული კომპონენტების გავლაც. ამაში დიდი წვლილი მიუძღვით ჩვენს მაღალკვალიფიციურ პროფესორ-მასწავლებლებს, რომელთა თავდაუზოგავი შრომა ნამდვილად დასაფასებელია და აქვე, არ შემიძლია განსაკუთრებული მადლობა არ გადავუხადო ჩვენი ფაკულტეტის დეკანს, ქალბატონ თამარ ჩიკვილაძეს, რომელიც ჩვენი ყველაზე დიდი გულშემატკივარია და მუდამ მზადმყოფი სტუდენტების დასახმარებლად.

ვერ ვიტყვი, რომ სწავლის წლები მარტივი იყო – ბევრი შრომა, ნერვიულობა და თეთრად გათენებული ღამეც მახსენდება, მაგრამ ყველა სემესტრში თსსუ-ის მაღალრეიტინგულ სტუდენტად ყოფნა ნამდვილად ღირდა ამად და დღეს, როდესაც უკვე დამამთავრებელ კურსზე ვარ, კიდევ უფრო დავაფასე განვლილი გზა და უნივერსიტეტში გატარებული წლები. ეს გზა აღსავსე იყო უამრავი გამოწვევით, საინტერესო, ნაყოფიერი, რთული და, ამასთანავე, ბედნიერი წუთით.

მინდა, ასევე, მივმართო მომავალ თაობას, ვისაც სურს სამედიცინო სფეროში საქმიანობა: თქვენი ადგილი ნამდვილად თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტშია და ნუ დაიშურებთ ძალებს აქ მოსახვედრად; ნურც იმას დაივიწყებთ, რომ სხვების ჯანმრთელობაზე ზრუნვა, უდიდეს ბედნიერებასთან ერთად, კიდევ უფრო დიდი პასუხისმგებლობაა. თუმცა შეუძლებელი არაფერია და მიზანდასახულობითა და შრომისმოყვარეობით მიიღწევა სასურველი შედეგიც.

მეამაყება, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ვარ!..

ანა ოქროცვარიძე,
ფარმაციის ფაკულტეტის კურსდამთავრებული

ჩემი საუკეთესო არჩევანი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი უმაღლესი სამედიცინო განათლების ძირითადი კერაა საქართველოში, განვითარების თითქმის ასწლოვანი ისტორიით. ჩემს გადაწყვეტილებაზე, გავმხდარიყავი თსსუ-ის სტუდენტი, დიდი გავლენა მოახდინა ამ უმაღლესი სასწავლებლის ტრადიციებმა, გამოცდილებამ და ავტორიტეტულობამ, ხოლო ფაკულტეტის არჩევისას – ქიმიისა და სხვა საბუნებისმეტყველო საგნების მიმართ ინტერესმა და სიყვარულმა.

ფარმაცია უმნიშვნელოვანესი დარგია, რომელიც ქიმიის ცოდნის და ტექნოლოგიური განათლების გარდა, მრავალი სამედიცინო დისციპლინის ცოდნასაც მოითხოვს. ვთვლი რომ, სამედიცინო და ფარმაცევტული სფერო ერთმანეთისგან განუყოფელია და როგორც ექიმის, ისე ფარმაცევტისგან, საჭიროებს პროფესიული კომპეტენციების ურთიერთპატივისცემას.

სამედიცინო უნივერსიტეტში, სტუდენტობის პირველივე დღეებიდან, მივხვდი, რომ შევაბიჯე სამყაროში სადაც ცოდნა არასდროსაა საკმარისი და საჭიროა მუდმივი განვითარება. განვლილი 4 წლის განმავლობაში, ჩემი თითოეული დღე სასწავლო გეგმით იყო განწერილი; თეორიულ მასალასთან ერთად სტუდენტებს მუდმივი შეხება გვქონდა პრაქტიკულ საქმიანობასთან, რომელსაც თსსუ-ში საკმაოდ მაღალ დონეზე მოწყობილი ლაბორატორიებსა თუ უნივერსიტეტის პარტნიორ ფარმაცევტულ და სამედიცინო დაწესებულებებში ვახორციელებდით.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში უამრავი წარჩინებული სტუდენტი სწავლობს, რაც მოდუნების საშუალებას არასდროს გაძლევს და ერთგვარი სტიმულია თავდაუზოგავად შრომის და საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენისთვის; შრომა კი აუცილებლად დაფასდება. არასოდეს დამავიწყდება ემოცია, რომელიც სახელმწიფო სტიპენდიის პირველად მოპოვების შემდეგ დამეუფლა.

წარჩინებულ სტუდენტად ყოფნა ნიშნავს, იყო პასუხისმგებელი სტუდენტების, ოჯახის წევრების და აკადემიური პერსონალის მიმართ, იმ პროფესორ-მასწავლებლების მიმართ, რომლებსაც ყოველთვის თბილი და მაღალპროფესიული დამოკიდებულება ჰქონდათ სტუდენტებისადმი, მუდმივად ცდილობდნენ ფუნდამენტური ცოდნის გარდა ინოვაციური მიღწევების და მეთოდების ჩვენთვის გადმოცემას.

ამასთანავე, თსსუ ადგილია, სადაც ბევრი მეგობარი შევიძინე, სადაც მჭიდრო ურთიერთობა ჩამომიყალიბდა ბევრ საინტერესო ადამიანთან, სადაც, აკადემიური პროცესის პარალელურად, მუდმივად ეწყობოდა სტუდენტური საღამოები და ექსკურსიები, რაც სოციალური ურთიერთობების გაღრმავების და განტვირთვის საუკეთესო საშუალება გახლდათ.

უნივერსიტეტში გატარებულმა წლებმა, უპირველესად, შემძინა საუკეთესო მეგობრები, მომცა საკუთარი თავის მაქსიმალურად რეალიზების საშუალება და მტკიცე საფუძველი ჩაუყარა პროფესიონალად ჩამოყალიბების პროცესს, რაც უმნიშვნელოვანესია მომავალი პროფესიული განვითარებისთვის.

მომავალში ვგეგმავ სწავლის გაგრძელებას მაგისტრის ხარისხის მისაღებად; ეჭვგარეშეა, რომ ჩემი არჩევანი კვლავ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი იქნება.

ნიკა კაპანაძე,
ფარმაციის ფაკულტეტის კურსდამთავრებული

წარმატებული მომავლის საწინდარი



ყოველთვის მიზიდავდა რაიმე კომპლექსურის შეცნობა, მეცნიერება, საბუნებისმეტყველო საგნები და მისი თანმხვედრი იდუმალება; ამიტომ, აბიტურიენტობის პერიოდში, არჩევანი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტზე შევაჩერე, მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად სრულად ვერ ვაცნობიერებდი მომავალი პროფესიის არსს. მოგვიანებით, სწავლის პროცესში, მივხვდი, რომ ფარმაცია სწორედ ის დარგია, რომელსაც დიდი სიამოვნებით დავუკავშირებდი მომავალ პროფესიულ საქმიანობას. ბოლოდროინდელმა მოვლენებმა კიდევ უფრო გამიმყარა ეს რწმენა. COVID-19-ის პანდემიამ მთლიანად შეცვალა კაცობრიობის დღის წესრიგი. ფარმაცია კი აღმოჩნდა ერთ-ერთი მოწინავე დარგი, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლაში. აღსანიშნავია, ასევე, პრობლემასთან ბრძოლის რთულ პერიოდში ფარმაცევტთა თავდაუზოგავი შრომა და ძალისხმევა. ნამდვილად საამაყოა, რომ ვარ ამ ღირსეული პროფესიის წარმომადგენელი.

თსსუ-ის სტუდენტობა დიდი პასუხისმგებლობაა და თავდაუზოგავ შრომასა და ძიებას მოითხოვს. განვლილი გზა იყო რთული და შრომატევადი, თუმცა – ბევრისმომცემი. ამ პერიოდის განმავლობაში საშუალება მქონდა საფუძვლიანად შემესწავლა ფარმაციის როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ასპექტები, რაშიც უდიდესი წვლილი მიუძღვით გამოცდილ პედაგოგებს. მიუხედავად პანდემიისა, უნივერსიტეტმა შეძლო, რომ დროულად დავბრუნებულიყავით სასწავლო აუდიტორიებში, რაც, მომავალი პროფესიიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იყო ჩვენთვის.

სტუდენტობის ოთხმა წელმა სწრაფად განვლო, თუმცა დამითოვა უამრავი „ტკბილ-მწარე“ მოგონება, რომელსაც ახლა სიყვარულით ვიხსენებ. ამ პერიოდის განმავლობაში შევიძინე საუკეთესო მეგობრები. ჩვენ ერთმანეთის გვერდში დგომითა და თანაგრძნობით გადავლახეთ ყველა სირთულე და დაბრკოლება – ერთად განვიცადეთ შიში, დაძაბულობა, აღტაცება, სიხარული და დღეს, შემიძლია თამამად ვთქვა, რომ უნივერსიტეტმა მომცა არა მხოლოდ სრულფასოვანი განათლება, არამედ უდიდესი წვლილი შეიტანა ჩემს პიროვნულ ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

ვიხსენებ განვლილ გზას და მადლიერების გრძნობით ვივსები, რადგან ამ დროის განმავლობაში ვიპოვე ბევრი განსაკუთრებული ლექტორი, რომელთაც თავდაუზოგავად იშრომეს ჩვენი ცოდნის გაღრმავებისთვის, პროფესიული ზრდისთვის; განსაკუთრებული მადლობა მინდა ვუთხრა ფარმაციის ფაკულტეტის დეკანს, ქალბატონ თამარ ჩიკვილაძეს, რომელმაც ჩემი გულითადი პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა.

ანი ბებრიშვილი,
ფარმაციის ფაკულტეტის კურსდამთავრებული

სრულფასოვანი განათლების მისაღებად

რთულია სიტყვებით გადმოსცე ის ემოციები, რასაც ცხოვრების ერთი საფეხურის დამთავრების და მეორეს დაწყებისას განიცდი. ეს დღეები, წუთები, წამები, ალბათ, იმდენად შეუცვლელი და ემოციებით აღსავსეა, რომ არასდროს გავიწყდება სერიოზულად გადადგმული პირველი ნაბიჯები, პროფესიული არჩევანის გაკეთება - იმ ცხოვრებისეული გადაწყვეტილების მიღება, რომელსაც სამომავლოდ უდიდესი შრომითა და სიყვარულით უნდა ემსახურო.

ცხოვრებაში უამრავი ემოცია მქონია, მაგრამ დაუვიწყარია ის უჩვეულო შეგრძნებები, რომელიც უნივერსიტეტში ჩაბარების დროს მქონდა. გამორჩეულად აღსანიშნავია უნივერსიტეტის პირველი დღე - მომავალ ჯგუფელებთან და ლექტორებთან შეხვედრა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა არაერთი მოგონება მაჩუქა, აქ ბევრი რამ ვისწავლე, განვავითარე პროფესიული უნარები, აღმოვაჩინე ახალი შესაძლებლობები, ჩამოვყალიბდი პიროვნებად და, რაც მთავარია, შევიძინე მეგობრები, ადამიანები, რომლებთანაც, იმედია, უნივერსიტეტის დასრულების შემდეგაც, დიდხანს გვექნება ურთიერთობა.

სამწუხაროდ, ჩვენთვის სწავლის პერიოდი COVID-19-ის პანდემიის გავრცელებას დაემთხვა, რამაც მნიშვნელოვნად შეცვალა სწავლის პროცესი და, გარკვეულწილად, ნეგატიურად აისახა ჩვენს პროფესიულ განვითარებაზე; გამოგიტყდებით და, კარანტინის დროს თავს იზოლირებულად და მარტოდ ვგრძნობდი, მეგონა, ცხოვრება და ის შესაძლებლობები, ადრე რომ გვქონდა, ვერასდროს დაგვიბრუნდებოდა; რთული იყო დისტანციური სწავლება, მაგრამ მინდა მადლობა გადავუხადო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციას და ჩვენს ლექტორებს, ამ პერიოდშიც მაქსიმალურად რომ ცდილობდნენ სრულფასოვანი ცოდნა და განათლება მიგვეღო. საბედნიეროდ, ამჟამად, სასწავლო პროცესი აუდიტორიებში განახლებულია, სტუდენტებს ეძლევათ საშუალება, იცხოვრონ ნამდვილი სტუდენტური ცხოვრებით, ჩაერთონ უამრავ ახალ პროგრამაში და მიიღონ სრულყოფილი განათლება.

ფიზიკური თერაპია და რეაბილიტაცია ის პროფესიაა, რომელიც მუდმივ სწავლას და ცოდნის განახლებას მოითხოვს, განათლება კი საუკეთესო საშუალებაა პიროვნების განვითარებისთვის. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტიც სრულფასოვანი განათლების მიღების საშუალებას გვთავაზობს და ეს შანსი ხელიდან არ უნდა გავუშვათ.

სალომე ზაზაძე,
ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის კურსდამთავრებული

სიყვარულის და თავგანწირვის უანგარო გზა

ბავშვობიდანვე მინდოდა ექიმის პროფესია შემესწავლა და მემკურნალა ადამიანებისთვის.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სწავლისას ჩემთვის ნათელი შეიქმნა, როგორი რთული და საპასუხისმგებლოა, გერქვას წარმატებული უნივერსიტეტის სტუდენტი. სწავლის 5 წელი, მრავალნაირ ემოციას აღძრავს: სევდანარევ სიხარულს, გამოცდების პერიოდში განცდილ ნერვიულობას, რომელიც უმაღლესი შეფასების მიღების შემდეგ უკვე არაფრად მიგაჩნია, სწავლის პერიოდში განცდილი თითოეული ასეთი დღე შეუმჩნევლად მზრდიდა და მომავალი საექიმო საქმიანობისთვის მამზადებდა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გატარებულმა წლებმა ბევრი რამ შემძინა: საერთო ინტერესების მქონე მეგობრები, ახალი კონტაქტები, მეგობრული პროფესორ-მასწავლებლები, რომლებიც უშურველად გვიზიარებდნენ თავიანთ ცოდნას და გამოცდილებას. მათ არა მარტო პროფესიული განათლება მოგვცეს, არამედ გამოგვიმუშავეს და დაგვიხვეწეს პროფესიული უნარ-ჩვევები, რაც ექიმისთვის აუცილებელია, დაგვაფიქრეს პასუხისმგებლობაზე, ღირსებაზე, მორალზე, გვასწავლეს ჰუმანურობა, ეთიკა, ადამიანისადმი პატივისცემა, მხარდაჭერა, სიყვარული, გამხნევება, სიკეთის გაცემა, მოთმინება, გამძლეობა, რაც ჩვენი წარმატების გარანტია.

მეამაყება თსსუ-ის კურსდამთავრებული რომ მქვია. მადლობას ვუხდი სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანს, ასოცირებულ პროფესორ ნანა ყიფიანს, გამხნევებისთვის, გულშემატკივრობისთვის, მხარდაჭერისთვის, სტომატოლოგიის ფაკულტეტის ყველა დეპარტამენტის პროფესორ-მასწავლებლებს, ცოდნის, პროფესიული უნარ-ჩვევების გაზიარებისთვის, რომელიც მომავალი წარმატების ქვაკუთხედია. 2022 წელს დასრულდა ჩემი პროფესიული განვითარების პირველი ეტაპი, რომელიც ახალი გზის დასაწყისია, მას ექიმობა ჰქვია და რთული გზაა, უანგარო სიყვარულის და თავგანწირვისა.

ეს რთული, მაგრამ ამავდროულად, უფლისგან დალოცვილი ჰუმანური პროფესიაა, რომელიც ყველას ხვედრი როდია.

თსსუ-ს, ჩემს წარმატებულ უნივერსიტეტს, სულ მალე ახალგაზრდების ახალი ნაკადი შეემატება, რომელთაც, უკვე იციან, რომ ექიმობა მოითხოვს მზაობას, მუდმივ პროფესიულ განვითარებას, კეთილსინდისიერებას, პასუხისმგებლობას, შრომას. საპატიოა, იდგე მათ რიგებში და ემსახურო ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვას.

ჩემო მომავალო კოლეგებო! წარმატებებს გისურვებთ ექიმის პროფესიის ღირსეულად აღსრულების გზასავალზე.

მარიამ ალიხანაშვილი,
სტომატოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული

წერილები Alma Mater-ს!



საჯარო ლექციები სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი კლუბი „ენდევორის“ ორგანიზებით

ბოლო პერიოდში თსსუ-ის სამეცნიერო უნარ-ჩვევების ცენტრის სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი კლუბის, „ენდევორის“, ორგანიზებით, თსსუ-ში არაერთი საინტერესო ღონისძიება ჩატარდა. განსაკუთრებული ინტერესი დაიმსახურა ივნისში ჩატარებულმა საჯარო ლექციათა სასერტიფიკატო კურსმა, რომელიც მოიცავდა ლექციებს მედიცინის სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე.

პირველ ივნისს, გაეროს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს, გაიმართა თსსუ-ის პედიატრიული ნევროლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელის, თსსუ-ის ვიცე-რექტორის, პროფესორ სოფიო ბახტაძის საჯარო ლექცია თემაზე – „ვაქცინაცია სხვადასხვა ნევროლოგიური დაავადების მქონე ბავშვებში“. 15 ივნისს, თსსუ-ის სამედიცინო ფარმაკოლოგიის ასოცირებულმა პროფესორმა, სამეცნიერო უნარ-ჩვევების ცენტრის დირექტორმა, ლუიზა გაბუნიამ, რაციონალური ფარმაკოთერაპიის და კლინიკური ფარმაკოლოგიის საკვანძო საკითხებზე წაიკითხა ლექცია: „თუ არ არგებ, ნუ ავნებ“.

საინტერესო იყო ლექცია „წამების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა“. ამ თემაზე 22 ივნისს თსსუ-ის სასამართლო მედიცინის დეპარტამენტის ასოცირებულმა პროფესორმა, ქალბატონმა რუსუდან ბერიაშვილმა ისაუბრა.

აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში საჯარო ლექციებს ესწრებოდნენ თსსუ-ის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები.

განსაკუთრებულ მადლობას მოვახსენებთ თითოეულ ლექტორს და დამსწრე საზოგადოებას.

**გიგი გორგაძე,
მედიცინის ფაკულტეტის
მე-6 სემესტრის სტუდენტი,
სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი
კლუბი „ენდევორის“ თავმჯდომარე**

კონფერენცია ჯანმრთელობის პრიორიტეტულობის პრობლემებზე

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის, მენეჯმენტის, პოლიტიკის და ეკონომიკის დეპარტამენტის ეგიდით, 15 ივნისს, თსსუ-ში გაიმართა ტრადიციული ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია, თემაზე – „სოციოლოგია მედიცინაში“.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის და საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მენეჯმენტის პროგრამების მეორე სემესტრის სტუდენტებმა წარმოადგინეს კვლევები საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის პრიორიტეტულობის პრობლემების შესახებ; ამ თემატიკას მიეძღვნა: მაია ფაილოძის – „ენერგეტიკული სასმელები და მათი გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე“; გიორგი იმედაშვილის – „ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობა შშმ პირთათვის“, ანი მეიფარიანის – „ნარკოდამოკიდებულება“, სალომე ნიკოლაიშვილის - „ინსომნია“, ანა ჩილაძის — „სწრაფი კვება“, მარიამ მუმლაძის – „კანის სიმსივნე“, ელენე ხაჩიძის – „პოსტკოვიდური სიმპტომები“, მარიამ გომურაშვილის – „კორონა ვირუსი“, ქეთი ქებაძის – „მავნე ჩვევები – ნარკომანია“, თამარ გოჩაშვილის – „ჯანსაღის ცხოვრების წესი“, იოსებ პერტაიას – „თამბაქოს მოხმარება“, ელენე ჭიტაძის – „კანაფის მოხმარება“, ელენე კამლაძის – ფსიქოლოგიური პრობლემები მოზარდებში“, ნატო სურმავას – „პოსტკოვიდური სინდრომი“, მარიამ ხაბეიშვილის – „ჯანსაღი ცხოვრების წესი“.

აღსანიშნავია, რომ სტუდენტთა სამეცნიერო ნაშრომების სამეცნიერო ხელმძღვანელი გახლავთ მოწვეული მასწავლებელი ნინო ჯაფარიძე. „სამედიცინო სოციოლოგიის“ კურსის სამეცნიერო ხელმძღვანელია დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, ირინა ზარნაძე, რომელმაც 2006 წელს შექმნა და მიჰყავს სასწავლო კურსი – „სამედიცინო სოციოლოგიის საფუძვლები“.

დარეჯან კომლაძე

ხსოვნა

პროფესორი კლარა გელაშვილი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს გამოაკლდა ერთ-ერთი გამორჩეული, ერთგული, დამსახურებული, საპატივცემულო წევრი - გარდაიცვალა საქართველოში უმაღლესი სამედიცინო განათლების და საქართველოს პროფილაქტიკური მედიცინის კორიფე, საქართველოს პროფილაქტიკური მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო პრეზიდენტი, ღირსების ორდენის კავალერი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი კლარა გელაშვილი.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის (ამჟამად - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი) სამკურნალო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, 1954 წლიდან, ქალბატონი კლარას აკადემიური თუ სამეცნიერო ინტერესი და ძალისხმევა მიმართული იყო რადიოლოგიისა და რადიაციულ ჰიგიენისაკენ; ეს მიმართულებანი მედიცინის ერთ-ერთი რთული სფეროებია, მათი აქტუალურობა კი - მზარდი.

ქალბატონმა კლარა გელშვილმა პროფესიული საქმიანობა დაიწყო თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში, რენტგენოლოგიისა და რადიოლოგიის კათედრაზე. 1970 წლიდან კი იგი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის (ამჟამად - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი) ოჯახის წევრია; იგი ბრძანდებოდა ჰიგიენის კათედრის დოცენტი (1970-1972 წ.წ.), პროფესორი (1972-1980 წ.წ.), კომუნალური და რადიაციული ჰიგიენის კათედრის პროფესორი (1980-1986 წ.წ.), კათედრის გამგე (1987-2006 წ.წ.).

ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ ქალბატონი კლარას და მისი ცხოვრების თანამგზავრის, თანამოაზრისა და ერთგული მეგობრის, საქართველოს ონკოლოგთა სკოლის გამორჩეული წარმომადგენლის, პროფესორ რევაზ ვეფხვაძის, სამაგალითო წყვილმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რადიოლოგიის, როგორც მეტად მნიშვნელოვანი სამეცნიერო მიმართულების, დამკვიდრებასა და განვითარებაში საქართველოში.

ქალბატონი კლარას უშუალო ხელმძღვანელობით შემუშავდა და დაინერგა რადიაციული ჰიგიენის სასწავლო კურსი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სანიტარიულ-ჰიგიენური (ამჟამად - საზოგადოებრივი ჯანდაცვის) ფაკულტეტის კურიკულუმში. მისი უშუალო ხელმძღვანელობით, თანაავტორებთან ერთად, მომზადდა და ორჯერ (2007 წ., 2014 წ.) გამოიცა „რადიაციული ჰიგიენის“ სახელმძღვანელო სტუდენტებისა და ექიმებისათვის, რომელიც მის მიერვე ადრე (1976 წ., 1983 წ.) გამოცემული სახელმძღვანელოს სრულიად ახალ ვერსიას წარმოადგენდა, გაჯერებულს აქტუალური ინფორმაციით. ამიტომაც არის და იქნება ეს ნაშრომი ქრესტომათიული რადიაციული ჰიგიენის საკითხებით დაინტერესებული მკითხველისათვის.

დიდია ქალბატონი კლარას ღვაწლი საქართველოში რადიოეკოლოგიის აქტუალური საკითხების დამუშავებაში. ამავე თემაზე მისი ხელმძღვანელობით 5 სადისერტაციო ნაშრომია შესრულებული. ქალბატონ კლარას მიერ გამოქვეყნებულია 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მონოგრაფია; იგი 1 გამოგონების ავტორი ბრძანდება. სრულიად ფასდაუდებელია პროფესორ კლარა გელაშვილის და მისი მოსწავლეების სამეცნიერო კვლევების შედეგები, საფუძვლად რომ დაედო საქართველოს რადიაციული რუკის შედგენას, რომელიც მსოფლიო რადიაციულ ატლასში შევიდა.

ქალბატონი კლარა წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მისი ინიციატივით ჩამოყალიბებულ პროფილაქტიკური მედიცინის სპეციალობების ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და დახელოვნების კურსებს; წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ექიმთა სახელმწიფო სერტიფიცირების პროფილურ კომისიას.

ქალბატონი კლარა თითქმის 10 წელი ბრძანდებოდა საქართველოს პროფილაქტიკური მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი; ეს პერიოდი ერთ-ერთი საუკეთესო და პროდუქტიულია აკადემიის ისტორიაში – გამოიცა აკადემიის სამეცნიერო შრომების კრებულის 4 ტომი, ჩატარდა რამდენიმე სამეცნიერო კონფერენცია, კონსულტაციების სერია პრაქტიკოსი ექიმებისათვის, მოსახლეობის სამედიცინო კვლევები. ამიტომაც, სრულიად ლოგიკური იყო აკადემიის ერთსულოვანი გადაწყვეტილება პროფესორ კლარა გელაშვილის აკადემიის საპატიო პრეზიდენტად არჩევის შესახებ.

მნიშვნელოვანია ქალბატონ კლარას წვლილი საქართველოს ეროვნული სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმატიული ბაზის შექმნასა და განვითარებაში. იგი არაერთი ნორმატიული დოკუმენტის ავტორი და ხელმძღვანელია. მის მიერ მომზადდა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცდა საქართველოს ისტორიაში პირველი ეროვნული ნორმატიული დოკუმენტი – რადიაციული უსაფრთხოების ნორმები.

ქალბატონი კლარა, თამამი და ინოვაციური იდეების ინიციატორი და მათი განხორციელების ავტორი, თავისი ხანგრძლივი აკადემიური თუ საზოგადოებრივი საქმიანობის განმავლობაში ყოველთვის მოწინავე პოზიციებზე იყო, ყველგან და ყოველთვის იყო მისაბაძი ახალგაზრდა კოლეგებისათვის; მისი შრომა სახელმწიფოს და საზოგადოების მიერ ღირსეულად დაფასდა: დაჯილდოებულია ღირსების ორდენით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ოქროს მედლით.

ქალბატონი კლარა გელაშვილის საამაყო მონაგარი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში უმაღლესი სამედიცინო განათლების და საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის საკვანძო, მნიშვნელოვან პოზიციებზე თავდაუზოგავი შრომით მონაწილეობდა და მონაწილეობს საქართველოში აკადემიური აზრის განვითარებასა და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ეროვნულ საქმეში. ამით ადასტურებს პროფესორი კლარა გელაშვილის დიდი ოჯახი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დევიზს - „ტრადიციებით მომავლისკენ!“.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი გულისტკივილით გემშვიდობებათ, ქალბატონო კლარა.

**თბილისის სახელმწიფო
სამედიცინო უნივერსიტეტი**

თეატრ „ჰიგიას“ ახალი წარმატება

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კულტურის ცენტთან არსებულ თეატრ „ჰიგიას“ მრავალჯერ გაუხარებია მაყურებელი საინტერესო სპექტაკლით, დამსახურებული ჯილდოთი და მოპოვებული წარმატებებით, როგორც საქართველოს სცენებზე, ისე საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალებზე.

ამჯერადაც, სასწავლი წლის მიწურულს, „ჰიგია“ ახალი სპექტაკლით წარსდგა მაყურებლის წინაშე - რეჟინალდ როუზის „თორმეტი განრისხებული ნაფიცი მსაჯული“.

ერთმოქმედიანმა იურიდიულმა დრამამ თეატრალურ დარბაზში შეკრებილთა მოწონება დაიმსახურა, რაც სპექტაკლისადმი დიდ ინტერესს ცხადყოფდა.

გავესაუბრეთ თეატრ „ჰიგიას“ რეჟისორს, თსსუ-ის ჰისტოლოგიის, ციტოლოგიის და ემბრიოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებულ პროფესორს, ნათია გუჯაბიძეს: - „ამა წლის 22 მარტს, ჩვენმა თეატრალურმა დასმა შოთა რუსთაველის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე ანტუან სენტ ეგზიუპერის „პატარა უფლისწული“ წარმოადგინა, მეორე დღესვე, ერთად შეკრებილები, მივხვდით, რომ უნდა მოვმზადებულიყავით ახალი სპექტაკლისთვის, ჩავრთულიყავით შემოქმედებით საქმიანობაში, რაც ასე დაგვაკლდა პანდემიის დროს. ერთხმად გადაწყდა, დღევანდელი ყოფის ამსახველი სპექტაკლი, რ. როუზის ცნობილი დრამა - „12 განრისხებული ნაფიცი მსაჯული“ დაგვედგა; სასიხარულოა, რომ სპექტაკლში მონაწილეობენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტები (ახალი ჯგუფი 30 სტუდენტის შემადგენლობით), საუკეთესო ჯგუფი, რომელიც პირველად დადგა სცენაზე. ისინი ორი დღის განმავლობაში ერთმანეთს შეცვლიან; ასე, რომ, ყველა მათგანი მიიღებს მონაწილეობას სპექტაკლში. ჩვენი თეატრის ბევრმა წევრმა დაამთავრა სამედიცინო უნივერსიტეტი და ჩემთვის სასიხარულოა ნიჭიერი ახალგაზრდების შემომატება“.

ფსიქოლოგიური დრამა თეატრის რეჟისორმა ნათია გუჯაბიძემ, ორიგინალურად გადაწყვიტა. სპექტაკლში მაყურებლისთვის დასამახსოვრებელი იყო სპექტაკლის თითოეული მონაწილე სტუდენტი, კარგად შეკრული გუნდი: ელენე შაფათავა, ქეთი ნოზაძე, ინა ნიქაბაძე, გიორგი თაბაგარი, თაკო ხორავა, თაკო გოგველი, მარიამ ბეჟანიძე, სოფიო ცინცაძე, ანანო სიდამონიძე, ვახო კიკნაძე, გიორგი სანიკიძე, სებია, ფეფე გოგნაძე, ლიკა უზუნაშვილი, გიორგი ბრეგაძე, შალი ხუტაშვილი, მარიკა კვარაცხელია, ნინი სუთიაშვილი, ლიკა მიქელაძე, ბახვა გელაშვილი, ნატა სურმავა, ანა ავეტისიანი, რომლებმაც დასამახსოვრებელი სახეები შექმნეს. „ჰიგიას“ კიდევ ერთი ახალი სპექტაკლი შეემატა, რაც თეატრის ხელმძღვანელის და რეჟისორის ნათია გუჯაბიძის შემოქმედებითი გამარჯვების დასტური და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სახელოვანი ისტორიის თანმდევია. სპექტაკლი მუსიკალურად გააფორმა ელენე კამლაძემ, ქორეოგრაფია არჩილ სოლოღაშვილს ეკუთვნის, კოსტუმების მხატვარი – გაგი ნატროშვილი.

თსსუ-ის თეატრი „ჰიგია“, შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებულ სტუდენტებს ზღაპრულ სამყაროში ამოგზაურებს, მეგობრობას, ხელოვნების სიყვარულს ასწავლის და ეს მრავალფეროვნება მათ პროფესიულ ზრდას განაპირობებს.

სპექტაკლის ერთ-ერთი პერსონაჟი მარადიულ კითხვას სვამს: - „სად არის ჭეშმარიტება? ამ ცხოვრებაში იქნებ არავის არ უნდა ვენდოთ? იქნებ, უნდა ვენდოთ კიდეც, რადგანაც თითოეულის სწორ პოზიციას და ურთიერთკავშირს ჭეშმარიტებამდე მივყავართ“.

პირველი ნაბიჯები სცენაზე ახალბედებისთვის წარმატებული აღმოჩნდა, რომლებმაც კარგად გაართვეს თავი რეჟისორის ჩანაფიქრს და მაყურებლამდე მიიტანეს სპექტაკლის მთავარი სათქმელი. სპექტაკლზე დასასწრებად სიმბოლურად შემოიღეს დრესკოდი – შავი და თეთრი.

წინსვლასა და ახალ შემოქმედებით წარმატებებს ვუსურვებთ თეატრ „ჰიგიას“, რომელიც მომავალშიც თსსუ-ის ხელმძღვანელობის ხელშეწყობით და თანადგომით წარიმართება.

მანანა ფხალაძე

კონცერტი განახლებული რეპერტუარით

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კულტურის ცენტრში სხვადასხვა შემოქმედებითი ჯგუფი ერთიანდება, რომლებიც კონცერტებით, სპექტაკლებით, კულტურულ ღონისძიებებში ჩართულობით ხშირად ანებივრებენ ხელოვნების ჭეშმარიტ თაყვანისმცემლებს და მრავალფეროვანი შემოქმედებით ამდიდრებენ ქართულ კულტურას. პანდემიის რთული პერიოდის შემდეგ, ისინი უკვე მესამედ წარდგნენ მაყურებლის წინაშე. როგორც კულტურის ცენტრის დირექტორმა, ბატონმა ბადრი მაჭავარიანმა აღნიშნა, კონცერტი, რომელიც ახლახან თეატრალურ დარბაზში გაიმართა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახლდათ, რადგან იგი განახლებული რეპერტუარით და შემადგენლობით ჩატარდა – სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდა სიმღერისა და ცეკვის სახალხო დამსახურებული ანსამბლი (ხელმძღვანელი – ბადრი მაჭავარიანი, მთავარი ქორეოგრაფი – დავით უგრეხელიძე, ქორეოგრაფი – ინეზა კუპრეიშვილი, ლოტბარი – დავით რატიანი, ხალხურ საკრავთა ჯგუფის ხელმძღვანელი – გელა ტაბაშიძე), თანამედროვე და სამეჯლისო ცეკვების ანსამბლი ,,ვეგა“ (ხელმძღვანელი – ია კვირიკაშვილი), ტრადიციული მუსიკისა და სიმღერის გოგონათა ანსამბლი ,,დეკა“ (ხელმძღვანელი – დავით რატიანი), რომელმაც ხალხურ საკრავებთან ერთად შესრულებული სიმღერებით მოხიბლა მსმენელი; საინტერესო და შთამბეჭდავი იყო ახალშექმნილი ვოკალური ანსამბლის წევრთა გამოსვლა და ანსამბლის ხელმძღვანელის, ბატონი ლევან ჩხაიძის როიალზე აკომპანიმენტით შესრულებული სიმღერები; მოწონება დაიმსახურა კლასიკური მუსიკის ჯგუფის სტუდენტთა მიერ შესრულებულმა მუსიკალურმა კომპოზიციებმა (ხელმძღვანელი – გოდერძი ჩიტაიშვილი).



კონცერტის დასრულების შემდეგ კულტურის ცენტრის დირექტორმა, ბატონმა ბადრი მაჭავარიანმა სიამოვნებით გაგვიზიარა შთაბეჭდილება: „პანდემიის შემდეგ, შეიძლება ითქვას, სრულად აღვადგინეთ კულტურის ცენტრში თეატრის, ანსამბლებისა და შემოქმედებითი ჯგუფების საქმიანობა. ანსამბლებმა, რომლებიც დღეს მაყურებლის წინაშე წარდგნენ, მოწონება დაიმსახურეს, რაც კარგად ჩანდა ოვაციებიდანაც. მიუხედავად იმისა, რომ გამომსვლელების უმრავლესობა სამი-ოთხი თვის წინ მოსული სტუდენტები, ახალი თაობის წარმომადგენლები, არიან, შეიძლება ითქვას, რომ მათ კარგად გაართვეს თავი დასახულ ამოცანას.

რაოდენ სასიხარულოა, რომ სტუდენტთა შემოქმედებას, მათ გამოსვლებს ყოველთვის მხარს უჭერს და ყველა კონცერტს ესწრება თსსუ-ის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია, რომელიც, ამჯერადაც, კოლეგებთან – კანცლერთან, პროფესორ ზურაბ ორჯონიკიძესთან და ვიცე-რექტორთან, პროფესორ სოფიო ბახტაძესთან ერთად გულშემატკივრობდა სტუდენტებს. კულტურის ცენტრის სახელით დიდი მადლობა მინდა გადავუხადო მათ და ყველა ჩვენს გულშემატკივარს თანადგომისთვის“.

კონცერტს ესწრებოდნენ სახელოვანი ფოლკლორისტის, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის წარმომადგენლები, რომლებმაც მაღალი შეფასება მისცეს მას.

ნატო ბოლქვაძე

კლასიკური მუსიკის სალამო

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ყველა პირობაა შექმნილი შემოქმედებითი ნიჭით გამორჩეული სტუდენტებისთვის. მუსიკის სიყვარულმა ბევრი მათგანი კულტურის ცენტრთან არსებულ კლასიკური მუსიკის ჯგუფში გააერთიანა. სტუდენტები სწავლას სიამოვნებით უთავსებენ მუსიკისადმი სიყვარულს და ხშირად უნივერსიტეტში გამართულ კონცერტზე აჯამებენ მთელი წლის ნაშრომს. 27 მაისს ისინი მსმენელის წინაშე ცნობილი კომპოზიტორების ნაწარმოებების შესრულებით წარდგნენ. თსსუ-ის სტუდენტებმა: მარიამ გაგნიაშვილმა, ნინო და ვერიკო გერგაულებმა, გიგი გორგაძემ, ერეკლე გუნდიაშვილმა, თორნიკე თომაშვილმა, ნიკო იმნაძემ, საბა ფანჩულიძემ, ნია ფიფიამ, მარიამ ყიფშიძემ, თამარ მემანიშვილმა ბეთჰოვენის, ბრამსის, დვორჟაკის, პიაცოლას, შოპენის, ჯოპლინის, რახმანინოვის უკვდავი მელოდიები ააჟღერეს. საკუთარი ნაწარმოებით წარდგა თსსუ-ის სტუდენტი – ნიკოლოზ იმნაძე. კონცერტმა მსმენელის მოწონება დაიმსახურა, რაშიც დიდია კლასიკური მუსიკის ჯგუფის ხელმძღვანელის, გოდერძი ჩიტაიშვილის, წვლილი, რომელმაც მადლობა გადაუხადა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას თანადგომისთვის და სტუდენტებს მუსიკის განსაკუთრებული სიყვარულისთვის.

„სამედიცინო გაზეთის“ რედაქცია ვაჟა-ფშაველას გამზირი №33, ოთახი №600, ტ.: 254-24-64
რედაქტორი **ლელა მუკბანიანი**
კორესპონდენტები: მანანა ფხალაძე ტ.:555 29 98 27 დარეჯან კომლაძე ტ.:558 17 08 47 ნატო ბოლქვაძე
ტ.:555 28 28 97 ელ-ფოსტა newspaper@tsmu.edu